მედიაგარემოს შეფასება

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში

I და II ტური

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

შესავალი

თავი 1. მედიაგარემო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე

თავი 2. წინასაარჩევნო მედიის მონიტორინგი საქართველოში
2.1 კომუნიკაციების კომისიის მედიამონიტორინგი
2.2 ცენტრალური საარჩევნო კომისია და ინფორმაციის დაცულობის ცენტრი
2.3 მედიის მონიტორინგი მმართველი პარტიის სახელით

თავი 3. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღე - I ტური

3.1. ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ნიშნები და სახელმწიფოს რეაგირება
3.2. მუქარა ელექტროშოკით - "ფორმულას" ჟურნალისტის სალომე ჩადუნელის საქმე
3.3. "გაზეთი ბათუმელები" და თამარ ნერგაძე #79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ

თავი 4. არჩევნების I და II ტურს შორის მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები

4.1. წარმოება მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების მოწოდებისა და 14 ოქტომბრის აქციის მხარდამჭერი ვიდეორგოლების გამო

4.2. წარმოება მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო ვიდეორგოლისთვის „გვახსოვს" და „ქართული ოცნების" მიერ ორგანიზებულ აქციაზე დასწრების მოწოდების გამო

4.3. პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარის თქმა

თავი 5. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღე - II ტური

5.1. ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე
5.2. ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტები საარჩევნო უბნებში

რეკომენდაციები

შესავალი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელმაც ოპოზიციური ძალების ნაწილისთვის ერთგვარად რეფერენდუმის დანიშნულებაც კი შეიძინა, განსაკუთრებულად დაძაბულ გარემოში ჩატარდა. უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია უარყოფითად აისახა ჟურნალისტების შესაძლებლობაზე თავისუფლად მიეღოთ და ხელშეშლის გარეშე გაევრცელებინათ ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდისა და არჩევნების დღის შესახებ. კოალიცია "მედიის ადვოკატირებისთვის" (შემდგომში "კოალიცია") მონიტორინგისა და მედიის მხარდამჭერი საქმიანობის შედეგად არჩევნების I და II ტურის მიმდინარეობისას ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ან მედიაგარემოს დამაზიანებელი სულ მცირე 37 ფაქტი გამოვლინდა.

საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებას წინ უსწრებდა 2021 წლის 5 და 6 ივლისს მედიაზე მასშტაბური თავდასხმა, რაც დღემდე, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების მხრიდან სათანადო, დროული და ეფექტიანი რეაგირების მიღმა რჩება. ამასთან, 2021 წელს საქართველოში ჟურნალისტების უფლებების დარღვევა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. მედიის წარმომადგნელების მიმართ ძალადობას კი, უმეტეს შემთხვევაში, ახალისებდა, როგორც სამართალდამცავი უწყებების უმოქმედობა, ისე მმართველი პარტიის წარმომადგენლების აგრესიული, შეურაცხმყოფელი რიტორიკა.

მედიასთან ურთიერთობის ხარვეზის ნაწილი იყო პოლიტიკური დებატების სიმცირეც. კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა უარყოფითად შეაფასეს თბილისის მერობის კანდიდატის კახი კალაძის განცხადება, რომლითაც მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაგეგმილ სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე განაცხადა თანხმობა. კახა კალაძის ეს დამოკიდებულება აისახა მმართველი პარტიის მიერ დასახელებულ სხვა კანდიდატებზეც. მათ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უარი განაცხადეს რეგიონულ მედიაში დაგეგმილ დებატებში მონაწილეობაზე.

ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო უფლების მიმართ მრავალმხრივი ვალდებულების შესრულების მიზნით, კოალიციამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო სუბიექტებს მემორანდუმის გაფორმება შესთავაზა. დოკუმენტზე ხელმოწერა მოიცავდა პასუხისმგებლობას საარჩევნო პროცესების მშვიდობიან - არაძალადობრივ და არადისკრიმინაციულ გარემოში წარმართვისათვის. მმართველმა პარტიამ, ისევე როგორც ოპოზიციური ძალების უმრავლესობამ, შემოთავაზება უპასუხოდ დატოვა.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობისა და წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში (3 აგვისტოდან - 30 ოქტომბრის ჩათვლით) არსებული მედიაგარემოს შეფასებას, ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირებისა და თანმდევი რეკომენდაციების ფორმირების გზით. ამასთან მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდამდე მომხდარ მნიშვნელოვან შემთხვევებსაც, რამაც კოალიციის შეფასებით არსებითი გავლენა მოახდინა მედიაგარემოზე. დოკუმენტში შეტანილია განახლებები საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით მედიის მიმართ კომუნიკაციების კომისიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული განხილვების მიხედვით.

ანგარიში ხუთი თემატური თავისაგან შედგება: პირველი თავი მიმოიხილავს არჩევნების წინარე პერიოდში მომხდარ მსხვილ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოვლენებს, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა არჩევნების მიმდინარეობისას არსებულ მედიაგარემოზე; მეორე თავი მკითხველს სთავაზობს ინფორმაციას სხვადასხვა აქტორის მიერ წინასაარჩევნოდ განხორციელებული მედია მონიტორინგის შედეგების თაობაზე; მესამე თავი ეთმობა უშუალოდ არჩევნების დღეს (I ტური) გამოვლენილი გამოწვევების შეფასებას,

მეოთხე თავი აღწერს არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, მეხუთე თავი კი, დეტალურად მიმოიხილავს არჩევნების II ტურის დღეს გამოვლენილ ხარვეზებს; ხოლო ბოლოს, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, მოცემულია კოალიციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

დოკუმენტი მომზადდა სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. იგი ეყრდნობა არსებული კანონმდებლობის, საჯაროდ ხელმისაწვდომი კვლევითი დოკუმენტებისა და ღია წყაროებით გავრცელებული მასალების შესწავლასა და ანალიზს:
ფაქტების მოძიება – ღია წყაროებით გავრცელებული როგორც ვიდეო, ისე აუდიო და ბეჭდვითი მასალების შესწავლა;
წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიშების შეფასება – 2021 წლის ადგილობრივი თითმმართველობის არჩევნების I და II ტურის ფარგლებში სხვადასხვა აქტორის მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგების ანალიზი და შეფასება;
კანონმდებლობის ანალიზი – წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში მედიის მუშაობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა და ანალიზი.

თავი 1. მედიაგარემო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე

სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებას ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და მათზე გამოვლენილი თავდასხმების გამოძიებისკენ არაერთხელ მოუწოდებდა. გასული წლის მსგავსად, 2021 წელსაც არჩევნების, აქციებისა თუ სხვა საკითხების გაშუქების პროცესში მედიის წარმომადგენლები ხშირად იყვნენ სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის სამიზნეები. 2021 წლის რეფერენდუმად წოდებულ თვითმმართველობის არჩევნებამდე მედიაგარემო კვლავ პოლარიზებული იყო.

წინასაარჩევნო პერიოდი საქართველოში 3 აგვისტოს დაიწყო. პროცესს წინ უძღოდა, 5-6 ივლისს, მედიაზე მასშტაბური თავდასხმა, რა დროსაც თბილისში ძალადობრივი ჯგუფები მედიის წარმომადგენლებს წინასწარი განზრახვით დაესხნენ თავს. ოფიციალური ინფორმაციით, სულ დაშავდა 10-ზე მეტი მედიასაშუალების 53 ჟურნალისტი, ოპერატორი და ფოტოგრაფი. „TV პირველის“ ოპერატორი ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავა, რომელიც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისში ათობით თავდამსხმელის ძალადობის მსხვერპლი გახდა და 11 ივლისს საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. 5-6 ივლისის მოვლენებზე ეფექტიანი გამოძიება ამ დრომდე არ ჩატარებულა.
წინასაარჩევნო პროცესის დაწყებამდე, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის და მტრული განწყობების გაღვივების სხვა შემთხვევებიც დაფიქსირდა. მათ შორის, გამორჩეული იყო პირველი ვიცე-პრემიერის და კულტურის მოქმედი მინისტრის თეა წულუკიანის ქმედება. 2021 წლის 22 ივლისს, სენაკში ღონისძიებაზე მყოფმა მინისტრმა „მთავარი არხის“ ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა და შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით, მან ფეისბუქ პოსტით განაცხადა, რომ მიკროფონს არ დააბრუნებდა. ნივთის წართმევის ფაქტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვებისა და მომხდარის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესის მიუხედავად, გამოძიება არ დაწყებულა. მოგვიანებით, 29 ოქტომბერს თეა წულუკიანმა “მთავარ არხს” წართმეული მიკროფონი დაუბრუნა.

საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საზოგადოების არაერთი მოწოდების მიუხედავად, პრემიერ მინისტრი ხშირად ხელს უწყობდა მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიის გაღვივებას. იგი ჟურნალისტებს “მოძალადეებს” და “პარტიულ აქტივისტებს” უწოდებდა - “თქვენ უნდა იყოთ პარტიაში, თქვენ უნდა იყოთ წინა ხაზზე. პარლამენტში მინდა, რომ გიხილოთ თქვენ.

თქვენ ხართ ჩვეულებრივი პარტიული აქტივისტი“ - ამგვარი მიმართვები ხშირად ისმოდა მმართველი პარტიის სხვა წარმომადგენლების მხრიდანაც.

შეურაცხმყოფელი ენით ესაუბრებოდა ჟურნალისტებს თბილისის მოქმედი მერი და თბილისში მმართველი პარტიის მერობის კანდიდატი კახი კალაძეც. “მთავარი არხის” ჟურნალისტს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მოძალადეს უწოდებდა - “თქვენზე დიდი რადიკალი და თქვენზე უბინძურესი ადამიანები ამ ქვეყანაში არ არსებობს. თქვენ ხართ თავი და თავი სიძულვილის, ბოროტების, თუ რაიმე ცუდი შეიძლება გაიფიქროს ადამიანმა, აი, თქვენ ხართ ამის სახე" და თვლიდა, რომ ჟურნალისტები "ძალიან ცუდად იქცეოდნენ" ქარელში, „ქართული ოცნების“ შტაბის მეორე სართულიდან „მთავარი არხის“ ოპერატორის გადმოვარდნის ფაქტს კი, მმართველი პარტიის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტის მიერ მოწყობილი მძიმე პროვოკაციას უწოდა.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების I ტური გაიმართა 2021 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო II ტური 5 თვითმმართველ ქალაქსა და 15 მუნიციპალიტეტში 30 ოქტომბერს ჩატარდა. სახელმწიფო უწყებების და მმართველი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლების მხრიდან ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ ძალადობისა და აგესიული დამოკიდებულების წახალისებამ არსებითად დააზიანა მედია გარემო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებისას.

თავი 2. მედიის წინასაარჩევნო მონიტორინგი საქართველოში

წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მიმართ ინტერესი განსაკუთრებულად იზრდება. ტელევიზიები, რადიოები და ონლაინ გამოცემები პოლიტიკური გზავნილების ტირაჟირების და ამომრჩეველთა ინფორმირებული არჩევანის წინაპირობა ხდება. როგორც წესი, პოლიტიკოსები/საარჩევნო სუბიექტები ცდილობენ მედიასთან აქტიური კომუნიკაციით შეძლონ საზოგადოებრივი განწყობების ფორმირება და მხარდამჭერთა მობილიზება. ამომრჩევლები კი სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით ამოწმებენ რამდენად ემთხვევა პოლიტიკური გზავნილები მის მოლოდინებსა და გეგმებს.

საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკური დებატები, ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამა წინასაარჩევნო აგიტაციის თანმდევი ინსტრუმენტებია.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგს ორი ადმინისტრაციული ორგანო კომუნიკაციების კომისია და ცენტრალური საარჩევნო კომისია აწარმოებდა, ასევე გავრცელდა ინფორმაცია მმართველი პარტიის მედიამონიტორინგის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სამივე შემთხვევაში შედეგები თითქმის იდენტურია ან/და ერთმანეთს იმეორებს - პროფესიული სტანდარტის დარღვევასა და დისკრედიტაციაში უმეტესად კრიტიკული მედიასაშუალებები არიან დადანაშაულებული.

2021 წელს ტრადიციულად გრძელდებოდა მედიასაშუალებების კიდევ ერთი მედიამონიტორინგი, რომელსაც მედიის მრავალფეროვნების, ჟურნალისტური სტანდარტის ამაღლებისა და სამოქალაქო საზოგადოების სადამკვირვებლო ფუნქციის მხარდაჭერის ფარგლებში, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები 2010 წლიდან ატარებენ.

2.1. კომუნიკაციების კომისიის მედიამონიტორინგი

2021 წლის მუნიციპალური არჩევნების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ 3 აგვისტოდან დაიწყო. მონიტორინგს დაექვემდებარა 56 საერთო მაუწყებელი. მიმდინარე პერიოდში 6 საერთო ეროვნული მაუწყებლის თვისებრივი კვლევა ჩატარდა.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51 -ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია განსაზღვრავს საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესს, უზრუნველყოფს მაუწყებლის მიერ ამ კანონით დადგენილ ნორმათა დაცვის მონიტორინგს და ახდენს შესაბამის რეაგირებას ამ ნორმების დარღვევაზე. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეისყიდის მედიამონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო მომსახურებას.
კომუნიკაციების კომისიას ეს ფუნქცია 2012 წლიდან აქვს. საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შემდეგ ცესკოს ნაცვლად წინასაარჩევნოდ მედიის მონიტორინგზე პასუხისმგებლობა სწორედ დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს ეკისრება.

კომუნიკაციების კომისიამ წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი შუალედური შედეგები 2021 წლის 01 ოქტომბერს, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, გამოაქვეყნა. 2021 წლის 28 ოქტომბერს, არჩევნების II ტურის გამართვამდე ორი დღით ადრე კი კომუნიკაციების კომისიამ წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე შუალედური შედეგები გაასაჯაროვა.

დოკუმენტების თანახმად, პლურალისტურ და მრავალფეროვან წინასაარჩევნო მედიაგარემოში მედიის ნაწილი ისევ პოლარიზებულია, ნაწილი კი დეზინფორმაციის გავრცელებით, მანიპულაციით და მაყურებლის შეცდომაში შეყვანის მცდელობითაა დაკავებული. აღნიშნულ პერიოდში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ცალკეულ მაუწყებლებში სიძულვილის ენის გამოყენება რჩება.

კომუნიკაციების კომისია ორივე შუალედურ ანგარიშში უთითებს, რომ გაშუქებასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ მაუწყებელთა თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრდება.

მონიტორინგის დოკუმენტების დაგვიანებით გამოქვეყნების პრაქტიკა, მაუწყებლებს არ აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ ან/და გაითვალისწინონ მედიამონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები.

2.2. ცენტრალური საარჩევნო კომისია და ინფორმაციის დაცულობის ცენტრი

საქართველოს კანონმდებლობით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2012 წლიდან არ ევალება მედიის მონიტორინგის ჩატარება, თუმცა უწყების ეგიდით 2021 წლის 16 აგვისტოდან ამოქმედდა ინფორმაციის დაცულობის ცენტრი. ცენტრი საპილოტე რეჟიმში მუშაობს და როგორც ცესკო განმარტავს, პროექტი ინოვაციური, უნიკალური და ერთადერთია მსოფლიოში. ინფორმაციის დაცულობის ცენტრმა არჩევნების წინ მედიის მონიტორინგის ანგარიში სამჯერ გამოაქვეყნა.

"ინფორმაციის დაცულობის ცენტრი" მონიტორინგს უწევს 200-ზე მეტი სატელევიზიო (ცენტრალური და რეგიონული) და ონლაინ პლატფორმის, ასევე 300-ზე მეტ გვერდსა და ჯგუფს Facebook-ში. გამოქვეყნებულ ანგარიშებში ქართული მედიის დიდი ნაწილი დეზინფორმაციის, დისკრედიტაციის, დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის და ა.შ. გავრცელებაში იყო დადანაშაულებული. Publika.ge-ს, On.ge-ს, netgazeti.ge-ს ცესკო ედავებოდა

დეზინფორმაციის გავრცელებასა და დისკრედიტაციას. თუმცა ამ ეტაპისთვის, ჩამოთვლილი მედიაორგანიზაციების გამოხმაურების შემდეგ, ცესკოს საიტზე ანგარიში შეცვლილია და დოკუმენტიდან ამოღებულია ის დიაგრამები, სადაც ამ მედიასაშუალებების შესახებ იყო საუბარი. მაგრამ მითითებული არ არის, რომ პირველ ვერსიაში იყო შეცდომა და ამოღების მიზანი მონაცემების შესწორება წარმოადგენდა .

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ გამოვლინდა შემთხვევა, როცა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სადამკვირვებლო ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრალდება ყალბი ფეისბუკ ანგარიშის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთა. კერძოდ, ცესკოს ინფორმაციის დაცულობის ცენტრის სპიკერმა სამოქალაქო მოძრაობა "სირცხვილიას" და საზოგადოებრივი ინიციატივების ასოციაციის (PIA) მიერ დაფუძნებულ პლატფორმას - "სამოქალაქო საარჩევნო კომისიას" ბრალი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დასდო. "მითების დეტექტორმა" გავრცელებული ბრალდების გადამოწმებისას გამოავლინა, რომ "სამოქალაქო საარჩევნო კომისიის" ოფიციალური ფეისბუკ გვერდის პარალელურად იდენტური სახელწოდების 3 ყალბი გვერდი ფუნქციონირებდა და ცესკომ ისინი წყაროდ გამოიყენა.

წინასაარჩევნო პერიოდში სოციალურ მედიაში კიდევ ერთი ტენდენცია გამოიკვეთა, - ხშირად ხდებოდა პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული ციტატების გაყალბება ტრადიციული მედია საშუალებების სახელით. აღსანიშნავია, რომ 8 შემთხვევაში ციტატები სხვადასხვა მედიის, უმეტესწილად კი მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის ლოგოთი და ვიზუალით მოხდა. მედიის სახელით გაყალბებული ციტატების გავრცელების მიზანი გზავნილებისთვის მეტი დამაჯერებლობის მოპოვება და მკითხველთა შეცდომაში შეყვანა იყო. ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკაფიო მეორე ტურის დროს გახდა, როდესაც დაპატიმრებული სააკაშვილის ციტატების გაყალბება მეტწილად ოპოზიციასთან აფელირებული მედიების სახელით ვრცელდებოდა.

2.3. მედიის მონიტორინგი მმართველი პარტიის სახელით

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები კიდევ ერთი სიახლით გამოირჩეოდა - მედიის მონიტორინგის შედეგები მმართველი პარტიის სახელით გასაჯაროვდა. "ქართული ოცნების" საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივნის და ამავე დროს საქართველოს პარლამენტის წევრის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, "ქართულმა ოცნებამ" სამი მედიასაშუალების - „მთავარის", „ტვ პირველის", „ფორმულას" საინფორმაციო პოლიტიკის მონიტორინგი განახორციელა, მათი მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და თოქ-შოუები ინფორმაციის ცალმხრივი, დაუბალანსებელი და მანიპულაციური გაშუქების მიმართულებით შეისწავლა. უნდა აღინიშნოს რომ მმართველი პარტიის მიერ დამუშავებული მედიამონიტორინგის დოკუმენტები ამ დრომდე არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

თავი 3. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღე - I ტური

კოალიციის პარტნიორმა ორგანიზაციებმა მედიაორგანიზაციების და ჟურნალისტებისათვის სამართლებრივი დახმარების მიზნით, წინასაარჩევნოდ ცხელი ხაზი აამოქმედეს. არჩევნების დღეს როგორც ფოტო-ვიდეო გადაღების წესების, ისე სხვა საარჩევნო პროცედურების თაობაზე ჟურნალისტებს ხელი მიუწვდებოდათ რვა წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციის სამართლებრივ სერვისზე.

კოალიციამ წინასწარ გაავრცელა განცხადება კენჭისყრის დღეს ფოტო-ვიდეო გადაღების წესების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები და რედაქციები გამოხატავდნენ ინტერესს შეცვლილი რეგულაციებისა და წესების მიმართ. ჟურნალისტების წინასწარი ინფორმირების და სიფრთხილის მიუხედავად, 19 ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, სადაც ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ნიშნები სხვადასხვა ხარისხით იკვეთება.

2021 წლის 02 ოქტომბერს, კენჭისყრის დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ უწყება მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას და მართლწესრიგის დაცვას. უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი იყო პოლიციის მობილური ჯგუფები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებსა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე სახალხო დამცველის ოფისთან, რისთვისაც სამინისტროში გამოყოფილი იყვნენ შესაბამისი საკონტაქტო პირები.
ამავე განცხადებით, სამინისტრო გამოეხმაურა "TV პირველისა" და "ფორმულას" ჟურნალისტების ხელშეშლის ფაქტებსაც.

3.1. ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ნიშნები და სახელმწიფოს რეაგირება

1. ბათუმში, „TV პირველის" ჟურნალისტის თამთა დოლენჯაშვილის ინფორმაციით, ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან, „ქართული ოცნების" აქტივისტებმა მაუწყებლის აპარატურა სამარშუტო ტაქსიში ჩაკეტეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქალაქ ბათუმში 64-ე საარჩევნო უბანზე მომხდარი ფაქტის შესწავლა ბათუმის პოლიციამ დაიწყო, რომლის ფარგლებში შედგა გასაუბრება მედიის წარმომადგენლებთან, მათ კუთვნილი ნივთები დაიბრუნეს და აგრძელებენ პროფესიული საქმიანობის შესრულებას.
2. ვანის საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნებიდან" სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტებს.
3. მედიაგამოცემა „ბათუმელების" ჟურნალისტს ხელი შეუშალეს პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს ბათუმის 64-ე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებისას „ბათუმელებმა" ორჯერ მიმართა პოლიციას ჟურნალისტზე მუქარის და საარჩევნო კოდექსის შესაძლო დარღვევის გამო:

4. ერთ შემთხვევაში საქმე ეხება „ბათუმელებზე" გამოქვეყნებულ ვიდეომასალას, რომელზეც ასახულია „ნაციონალური მოძრაობის" წევრებისა და „ქართული ოცნების" კოორდინატორების დიალოგი #41 საარჩევნო უბანთან. მასალის გამოქვეყნებიდან მოკლე ხანში „ბათუმელებს" დაუკავშირდა უცნობი პირი, რომელიც გაეცნო, როგორც ვიდეოზე ასახული ადამიანის ოჯახის წევრი და კატეგორიულად მოითხოვა მასალის წაშლა. უარის შემდეგ იგი ჟურნალისტს დაემუქრა, რომ სახლში

და რედაქციაში „მიუვარდებოდა“ და „ჭკუას ასწავლიდა“. მუქარის შემცველი სატელეფონო ზარი რამდენჯერმე განმეორდა, რის შემდეგაც „ბათუმელებმა“ შსს-ს მიმართა. ფაქტზე დაიწყო მოკვლევა. მოგვიანებით, ჟურნალისტმა მიიჩნია, რომ მყისიერი საფრთხე აღარ ემუქრებოდა და პროცესი შეწყდა.

5. პოლიციის გამოძახების მეორე შემთხვევა უკავშირდება #21 საარჩევნო უბანთან კოორდინატორების მობილიზებას. „ბათუმელების“ ჟურნალისტმა შენიშნა კოორდინატორებით სავსე სამი ავტომობილი უბანთან ახლოს, საარჩევნო კოდექსის თანახმად კი დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა. „ბათუმელებს“ ჰქონდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირები, შესაძლოა, თანხას გადასცემდნენ ამომრჩეველს. ჟურნალისტის კითხვებს მანქანიდან გადმოსული ქალი და იქვე მდგომი კაცი პასუხობდნენ აგრესიულად და არ ასახელებდნენ ვინაობას. „ბათუმელებმა“ ადგილზე გამოიძახა პოლიცია, რომლის მოსვლის შემდეგაც აღნიშნულმა პირებმა სწრაფად დატოვეს ტერიტორია.
6. მედიაგამოცემა „ბათუმელების" ჟურნალისტს ბათუმის #95 საარჩევნო უბანზე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მედიასაშუალების ინფორმაციით, აგრესიულად განწყობილი პირები ჟურნალისტს მუქარით პასუხობდნენ. „მოგხედავთ", „ვიმახსოვრებთ სახელებს" - ეუბნებოდნენ ისინი ჟურნალისტს.
7. „თქვენ ხართ გვარამიას წიწილა“ - მოქალაქე სიტყვიერად დაუპირისპირდა -"TV პირველის" ჟურნალისტს, სესილი ბოკერიას. გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე არ დაწყებულა.
8. გონიოში საარჩევნო უბანზე „მთავარი არხის" ჟურნალისტს, თეა ვაშალომიძეს შეურაცხყოფა მიაყენეს და მცდელობა იყო ფიზიკური შეურაცხყოფისაც. გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე არ დაწყებულა.
9. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში "მთავარი არხის" და „TV პირველის" გადამღებ ჯგუფს სავარაუდოდ „ქართული ოცნების" აქტივისტი თავს დაესხა, „TV პირველის" ინფორმაციით, თავდამსხმელმა მათ კამერა დაუმტვრია. გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე არ დაწყებულა.
10. სენაკში არაერთხელ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა „მთავარი არხის“ ჟურნალისტს, ემა გოგოხიას - გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე არ დაწყებულა.
11. ქარელში "TV პირველის" ჟურნალისტ მახო მიქელაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე არ დაწყებულა.
12. „TV პირველის" ჟურნალისტს, გიორგი ხუხიას საარჩევნო უბანთან პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს სიტყვიერი შეურაცხყოფა რამდენჯერმე მიაყენეს.
13. პროფესიული საქმიანობის შესრულებისას TV 25-ის ჟურნალისტს თეო ფუტკარაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე არ დაწყებულა.
14. გლდანში, 47-ე უბანზე ამომრჩეველმა, ონლაინგამოცემა „პუბლიკას" ჟურნალისტს მინდია გაბაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე არ დაწყებულა.
15. „რადიო მარნეულის" ინფორმაციით, ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მათ ჟურნალისტს გადაღებაში ხელი შეუშალეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

3.2. მუქარა ელექტროშოკით - "ფორმულას" ჟურნალისტის სალომე ჩადუნელის საქმე

2021 წლის 02 ოქტომბერს, დილის 11 საათამდე, ზუგდიდში, 84-ე საარჩევნო უბნის მიმდებარედ მყოფი პირი - (როგორც თავად აცხადებს - სპორტსმენი დავით ქირია) ტელეკომპანია "ფორმულას" ჟურნალისტს, სალომე ჩადუნელს ელექტროშოკით დაემუქრა. ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული ვიდეომასალიდან ნათელია, რომ თავდამსხმელმა ჟურნალისტს პროფესიული საქმიანობის შეწყვეტა და საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა.

"ჩვენ პირდაპირ ეთერში ვმუშაობდით, კადრებს ვიღებდით. გადაღების დროს ყველაფრისთვის მზად ვართ, მათ შორის, ფიზიკური დაპირისპირებისთვისაც, მაგრამ ელექტროშოკი ჩემთვისაც მოულოდნელობა იყო. მე თავად დავინახე ელექტროშოკი.." - ამბობს სალომე. ჟურნალისტისვე ცნობით, ქირიამ "TV პირველის" ოპერატორს ბოთლიც ესროლა.
კოალიციის რეკომენდაციით, ჟურნალისტმა მომხდარის შესახებ სამართალდამცავ უწყებებს შეატყობინა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო ქალაქ ზუგდიდში, 84-ე საარჩევნო უბანზე მედიის წარმომადგენლების მიმართ პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე. სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ზუგდიდის პოლიციამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო. 2021 წლის 03 ოქტომბერს ზუგდიდის პოლიციამ ჟურნალისტი უკვე გამოკითხა, თუმცა თავდამსხმელი პირი, რომლის იდენტიფიცირებაც მოხდა, ამ დრომდე არ დაუკავებიათ, ფაქტთან დაკავშირებით კი სხვა დეტალები ცნობილი არ არის.

3.3. "გაზეთი ბათუმელები" და თამარ ნერგაძე #79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ

2021 წლის 02 ოქტომბრის ადგილობრივი თვაითმმართველობის არჩევნებს "გაზეთი ბათუმელების" რედაქცია (რომელიც აერთიანებს საქართველოში ორ გავლენიან ონლაინ მედიას "ბათუმელები" და "ნეტგაზეთი") 34 წარმომადგენლის მეშვეობით აშუქებდა. ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჟურნალისტი თამარ ნერგაძე ბათუმის 34-ე საარჩევნო უბანში ხმის დათვლის პროცესში (02 ოქტომბრის 20:00 საათიდან 03 ოქტომბრის 08:00 საათამდე) არაერთხელ გახდა საუბნო კომისიის წევრთა მხრიდან შევიწროების და თავდასხმის ობიექტი.

სამუშაო პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სოფიო საფარიძე ავლენდა აგრესიულ დამოკიდებულებას და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. კომისიის წევრი ნატო მსხილაძე რეგულაციების დარღვევით უღებდა ფოტოებსა და ვიდეოებს, კომისიის წევრები ღიზიანდებოდნენ ჟურნალისტური საქმიანობის გამო, კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე არ უზრუნველყოფდნენ შესაბამის სამუშაო გარემოს.

უფრო მეტიც, როდესაც ჟურნალისტს სურდა ჟურნალისტურ საქმიანობაში რეგულარული ხელშეშლისა და თავდასხმების შესახებ მისი, როგორც ჟურნალისტის პოზიცია, საარჩევნო კოდექსის 62-ე მუხლის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში დაეფიქსირებინა. საუბნო კომისიის მდივანმა შეუზღუდა ეს შესაძლებლობა. მიმართავდა შემდეგი სიტყვებით:"ჩვენ ოჯახივით მიგიღეთ, საჭმელზე გეპატიჟებოდით და შენ ეს რა გამომიქვეყნე გოგო", "ქუჩის ჟურნალისტი ხარ", "რას გავხარ", "დავრეკეთ შესაბამის ადგილას და იყო ჩვენთან ზარები, გვითხრეს, ვიცით უკვე რა ბინძური სულის ჟურნალისტი არის ჩვენთან" "სკოლაში გაზრდი დებილს და დაინახავ მერე ტელეფონით ხელში დგას და ჟურნალისტი გამხდარა", "დაწერე განცხადება და გაეთრიე აქედან", „ქალი რომ ასეთი ინტრიგანი იქნები, დადგები და იღებ ყველაფერს", „შე საცოდავო, მიდი, მომიშვირე კამერა, მეტი იცი რამე?" ბოლოს კი (კომისიის წევრ ნატო მსხილაძესთან ერთად) დაუკრა ტაში სიტყვებით "რა კარგია, მიდის, მოგვშორდა" და ასე აღნიშნა უბნიდან ჟურნალისტის გასვლა.

აღსანიშნავია, რომ ცესკოს დადგენილებით, კენჭისყრის შენობაში ფოტო და ვიდეო გადაღება შედარებით შეზღუდულია. დადგენილი წესების თანახმად, ფოტო და ვიდეო გადაღების დროს, როგორც ჟურნალისტი, ისე საარჩევნო უბანში მყოფი ნებისმიერი პირი ექვემდებარება სპეციალურ რეგულაციებს. თამარ ნერგაძის მიმართ კი კომისიის წევრებმა თავად დაარღვიეს

ცესკოს მიერ დადგენილი წესები - ჟურნალისტის ინფორმაციით, კომისიის წევრმა მას გადაუღო ფოტო, ხოლო კომისიის მდივანმა გაასაჯაროვა.

2021 წლის 04 ოქტომბერს ჟურნალისტმა და რედაქციამ ადმინისტრაციული საჩივრით ერთობლივად მიმართეს #79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვეს სათანადო რეაგირება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ მათზე დაკისრებული უფლებამოსილებების არაჯეროვანი შესრულების გამო. 2021 წლის 06 ოქტომბერს საოლქო კომისიამ დაინტერესებულ პირებს უპასუხა, რომ ჟურნალისტი და რედაქცია არ იყო უფლებამოსილი ედავათ, რადგან ისინი საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ პირთა წრეში არ არიან განსაზღვრულნი.

ჟურნალისტმა და რედაქციამ საუბნო საარჩევნო კომისიის მხრიდან საარჩევნო პროცესებში ეთიკის ნორმების დარღვევა და საოლქო კომისიის უარი უკანონო შეზღუდვად მიიჩნიეს და უფლებების დაცვა სასამართლო წესით გადაწყვიტეს.

2021 წლის 10 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომაზე საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოლქი განიხილავდა დაინტერესებული პირების საჩივარს.

საოლქო კომისიამ იმავე დღეს მიღებულ ახალ განკარგულებაში, თქვა, რომ ჟურნალისტის „საჩივარი ყურადსაღებია“, თუმცა არ დაასაბუთა, რატომ ვერ შენიშნა დარღვევა საოლქო კომისიამ 4 დღის წინ, როცა საჩივრის განხილვაზე უარი თქვა. განკარგულებაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, როდის იმსჯელებდა სადავო საკითხზე ოლქი. ჟურნალისტისა და რედაქციის მცდელობა საოლქო კომისიისაგან მიეღოთ პასუხი სხდომის სავარაუდო თარიღთან დაკავშირებით, წარუმატებლად დასრულდა. ამიტომაც დავა კვლავ სასამართლოში გაგრძელდა.
2021 წლის 12 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე საოლქო კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპირებს საჩივარი 16 ოქტომბრამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების II ტურამდე განიხილოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოში დავა შეწყდა (დავის საგნის არარსებობის გამო მოსარჩელეებმა სარჩელი გამოიხმეს). ჟურნალისტისა და რედაქციის დიდი ძალისხმევის შემდეგ, ბათუმის საოლქო კომისიას უნდა მიეღო პრეცედენტული გადაწყვეტილება ჟურნალისტთა დაცვისათვის მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც მომავალში ჟურნალისტებისთვის უნდა გაემყარებინა შესაძლებლობა არჩევნების დღეს თავიანთი დარღვეული უფლებები დაეცვათ.

არჩევნების II ტურამდე, 25 ოქტომბერს #79 ბათუმის საოლქო კომისიამ განიხილა განმცხადებლების საჩივარი და არ დააკმაყოფილა.

თავი 4. არჩევნების I და II ტურს შორის მომხდარი მნიშვნელოვანი პროცესები

I და II ტურებს შორის შუალედში კომუნიკაციების კომისიამ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. პოლიტიკური რეკლამის განთავსების საკითხებთან დაკავშირებით, კომუნიკაციების კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებები თანხმობაში იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით კომუნიკაციების კომისია დადგენილ პრაქტიკას იმეორებდა:

4.1. წარმოება მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების მოწოდებისა და 14 ოქტომბრის აქციის მხარდამჭერი ვიდეორგოლების გამო

2021 წლის 27 ოქტომბერს კომუნიკაციების კომისიამ „მთავარ არხს“ წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების კანონდარღვევით გავრცელებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. კომისიის განცხადებით, მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კოდექსის დარღვევით ორი სარეკლამო რგოლი განათავსა. პირველი რგოლი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების მოწოდებას შეიცავდა, ხოლო მეორე რგოლი -14 ოქტომბრის აქციაზე დასწრების მოწოდებას. კომისიამ მიიჩნია, რომ ვიდეორგოლები არ აკმაყოფილებს პოლიტიკური რეკლამისთვის დადგენილ სტანდარტებს და დარღვეულია საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 29 ოქტომბერს წარმოება შეწყვიტა. მოსამართლემ ჩათვალა, რომ სარეკლამო რგოლში არ იყო განსაზღვრული პოლიტიკური სუბიექტი. სასამართლომ გაითვალისწინა და გამოიყენა კოალიციის წევრი ორგანიზაციის, GDI-ის მიერ წარდგენილი „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრება. შესაბამისად, სადავო ვიდეო რგოლები არ მიიჩნია პოლიტიკურ რეკლამად. კომისიამ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის წარმოება დასრულებული არ არის.

4.2. წარმოება მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო ვიდეორგოლისთვის „გვახსოვს“ და „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე დასწრების მოწოდების გამო

2021 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე, კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „იმედს“ წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების კანონდარღვევით გავრცელებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. კომისიის განცხადებით, მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კოდექსის დარღვევით ეთერში ორი სარეკლამო რგოლი განათავსა. ერთი რგოლი მოიცავდა 27 ოქტომბერს პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე დასწრების მოწოდებას, ხოლო მეორე ვიდეორგოლი სახელწოდებით „გვახსოვს“ შეეხებოდა წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდს. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ნაწილობრივ ცნო დარღვევა და „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე დასწრების მოწოდების გამო ტელეკომპანია დაჯარიმდა, ხოლო მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო ვიდეორგოლი „გვახსოვს“-ჩაითვალა სარედაქციო მასალად და არა პოლიტიკურ რეკლამად. კომისიამ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის წარმოება დასრულებული არ არის.

4.3. პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარის თქმა

2021 წლის 28 ოქტომბერს, არჩევნებამდე ორი დღით ადრე კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „იმედის“ წინააღმდეგ მთავარი ოპოზიციური პარტიის - „ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი დააკმაყოფილა და მაუწყებელს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. კომისიის განცხადების მიხედვით, პარტიამ მაუწყებელს ორჯერ მიმართა სარეკლამო რგოლების განთავსების მოთხოვნით, თუმცა, „იმედს“ რგოლები ეთერში არ განუთავსებია. სასამართლომ გაიზიარა კომუნიკაციების კომისიის შეფასება და პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარის თქმის გამო დააჯარიმა.

თავი 5. მედიაგარემოს შეფასება - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღე II ტური

კოალიცია მიიჩნევს, რომ 2021 წლის 30 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების II ტურის გაშუქებისას ჟურნალისტებს და ოპერატორებს რიგ შემთხვევებში არ ჰქონდათ შესაძლებლობა თავისუფლად შეესრულებინათ პროფესიული მოვალეობა. ისინი თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში მუშაობდნენ სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის ან/და თავდასხმის მაღალი რისკის შემცველ აგრესიულ გარემოში. სამართალდამცველები კი ვერ უზრუნველყოფდნენ მათი ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას და ხელშემშლელი გარემოებების ეფექტურ აღმოფხვრას.

საარჩევნო დღის დასაწყისშივე, მაღალი თანამდებობის პირები ტრადიციულად გამოხატავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას და უხეშად ესაუბრებოდნენ ჟურნალისტებს თავიანთ საჯარო გამოსვლებში. მაგალითად, საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოპოზიციურად განწყობილი მაუწყებლის “მთავარი არხის” ჟურნალისტს “პროვოკატორი” უწოდა. „ნაციონალური მოძრაობის ზონდერად” მოიხსენია ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი პარლამენტის წევრმა დაჩი ბერაიამ.
მაღალი თანამდებობის პირების აგრესია კვლავაც მყისიერად აისახა მმართველი პარტიის მხარდამჭერთა ქცევაზე. კენჭისყრის დღეს მედიის წარმომადგენლები თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში თავდასხმის ობიექტები გახდნენ “ქართული ოცნების” კოორდინატორები საარჩევნო უბნების გარე პერიმეტრზე ჟურნალისტებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მათთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. ისინი ჟურნალისტებს “აქტივისტებს”, “ზონდერებს”, “დეზინფორმატორებსა” და “ოპოზიციის წარმომადგენლებს” უწოდებდნენ.
აღსანიშნავია, რომ მედიის წარმომადგენლების შევიწროვება ხდებოდა, როგორც საარჩევნო უბნებზე, ისე საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრზე. ზოგიერთი ინციდენტისას ე.წ. კოორდინატორები ცდილობდნენ დაეფარათ მათი ვინაობა და ამომრჩეველთა ნებაზე კონტროლის ფაქტები, ზოგჯერ საარჩევნო კომისიის წევრები ავლენდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასაკმარის ცოდნას.

5.1. ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე:

1. თბილისში, გლდანის ერთ-ერთ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ტელეკომპანია „TV პირველის” ჟურნალისტს ნანუკა ქაჯაიას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ შეუშალეს ხელი;
2. „გადააგდე, თორემ გადაგატეხავ თავზე!“ — მარტვილში, 31-ე უბანზე ფორმულას ჟურნალისტს, ნანო ჩაკვეტაძეს უცხო პირი კითხვების დასმის დროს ფიზიკურად დაუპირისპირდა;

3. ტელეკომპანია „TV პირველის” გადამღებ ჯგუფს რუსთავში საარჩევნო უბანთან მყოფმა პირმა, სავარაუდოდ “ქართული ოცნების” მხარდამჭერმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა;
4. ზუგდიდში საარჩევნო უბანთან „ქართული ოცნების” კოორდინატორები ტელეკომპანია „ფორმულას” ჟურნალისტს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ;
5. ტელეკომპანია „ფორმულას” ჟურნალისტ ნინო ჩაკვეტაძეს, მარტვილში მე-2 საარჩევნო უბანზე თავს დაესხნენ;
6. ტელეკომპანია „TV პირველის” ინფორმაციით, „ქართული ოცნების” მხარდამჭერმა მათ ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება;
7. „TV მედია ცენტრის” ჟურნალისტის გიგა გელხვიიძის ინფორმაციით, ქუთაისში მე-14 საარჩევნო უბანზე მას სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ;
8. ტელეკომპანია „ფორმულას” ინფორმაციით, ქუთაისში მათ გადამღებ ჯგუფს აგრესიულად განწყობილი პირები დაუპირისპირდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს;
9. ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის შენობაში ტელეკომპანია „TV პირველის” ჟურნალისტს საარჩევნო უბნის წარმომადგენელი სიტყვიერად დაუპირისპირდა;
10. ტელეკომპანია „TV პირველის” ინფორმაციით „ქართული ოცნების” აგრესიულად განწყობილმა დამკვირვებელმა მათ ჟურნალისტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა;
11. ბათუმში, ერთ-ერთ უბანზე TV 25 - ის გადამღები ჯგუფისთვის კამერის დაზიანება სცადეს და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელი შეუშალეს. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება;
12. ასევე, ბათუმში, ჟურნალისტ თეო ფუტკარაძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება;
13. ქუთაისში, მე-15 უბანზე On.ge-ის ჟურნალისტს, იზაბელა მოდებაძეს აგრესიულად განწყობილმა პირმა მუშაობაში ხელი შეუშალა, მისი ტექნიკის დაზიანება სცადა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა;
14. გონიოში ტელეკომპანია „ფორმულას” და „მთავარი არხის" გადამღებ ჯგუფებს თავს დაესხნენ და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამასთან “ფორმულას” ჟურნალისტს კაცი თმაში წვდა და შეაგინა. ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. ჟურნალისტს სამართლებრივ დახმარებას კოალიცია გაუწევს;
15. ფოთში „ქართული ოცნების" აგრესიულად განწყობილი აქტივისტები „მთავარი არხის" ჟურნალისტს თავს დაესხნენ და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს;
16. სოფელ ზემო მესხეთში ტელეკომპანია „ფორმულას” ჟურნალისტს ქვა ესროლეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს;
17. "მთავარი არხის” ჟურნალისტ ემა გოგოხიას სენაკის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე დაუპირისპირდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ჟურნალისტს ტელეკომპანია პოსტ TV - ის წარმომადგენელი მიზანმიმართულად უშლიდა ხელს მუშაობაში.
18. „ჩვენი დრო მოვიდა, ჩვენი!“ - სავარაუდოდ “ქართული ოცნების” აგრესიულმა მხარდამჭერმა “ფორმულას” ჟურნალისტს მარტა ქურასბედიანს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

5.2. ჟურნალისტთა უფლებების დარღვევა საარჩევნო უბნებზე:

19. ქარელის მუნიციპალიტეტში, მე-2 საარჩევნო უბანში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამკვირვებელი „ტვ მონიტორინგის" ჟურნალისტს თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მალევე ოპოზიციურმა პარტიამ გააკეთა განცხადება და დამკვირვებელს წარმომადგენლობის უფლება შეუჩერა. ფაქტთან დაკავშირებით კი დაწყებულია გამოძიება.

20. „გურიანიუსის" ინფორმაციით, სენაკის პირველი საარჩევნო უბნიდან მათი ჟურნალისტი ჯემალ ღამბაშიძე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოაძევა, ჟურნალისტს არ მიეცა უბანზე დაბრუნების და ჟურნალისტური საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა. მომხდარის თაობაზე კოალიციის წევრმა ორგანიზაციამ - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ მოამზადა საჩივარი. ჟურნალისტის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები არცერთ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა.

რეკომენდაციები

სამართალდამცავ ორგანოებს

- კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებმა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილებებების ფარგლებში, გადადგან ქმედითი ნაბიჯები ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის ფაქტების პრევენციისათვის;
- ამასთანავე, მედიასაშუალებების წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი თავდასხმა/ძალადობა უნდა დაექვემდებაროს სრულყოფილ, დროულ და ეფექტიან გამოძიებას.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს

- წინასაარჩევნო პერიოდში და უშუალოდ არჩევნების მიმდინარეობისას გამოვლენილი გამოწვევების ფონზე, კოალიცია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტის წევრებს, პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის სხვა წევრებს, საქართველოს პრეზიდენტს საჯარო განცხადებებით მხარი დაუჭირონ თავისუფალი მედიის საქმიანობას და მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

- არჩევნების დღეს გამოვლენილი ხარვეზების საპასუხოდ, კოალიცია მოუწოდებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეაფასოს საუბნო და საოლქო კომისიის წევრების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ქცევის წესების შესრულების ხარისხი და მიიღოს სათანადო ზომები საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

THE DOCUMNET WAS PREPARED WITH THE FINANCIAL SUPPORT OF THE BALTIC CENTRE FOR MEDIA EXCELLENCE (BCME). THE OPINIONS EXPRESSED ARE THOSE OF THE AUTHORS, AND THEY MIGHT NOT REFLECT THE POSITION OF THE BCME.

მასალა გამოცემულია BALTIC CENTER FOR MEDIA EXCELLENCE (BCME) ფინანსური მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს BCME-ს პოზიციას.